ეძღვნება აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის 100 წლის იუბილეს

სოციალური ეკონომიკა – ცხოვრების ხარისხის საფუძველი

რევაზ ლორთქიფანიძე
საქართველოს ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, სტუ მოწვეული პროფესორი, თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი
ციალა გიორგაძე
თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტის ეკონომისტი

სოციალურ ეკონომიკას ზოგი სსრკ-ს სოციალისტურ წარსულში დაბრუნებად აღიქვამს. თუმცა, სოციალურ ეკონომიკას მხოლოდ ყველაზე განვითარებული ქვეყნები თუ მიუახლოვდნენ. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სოციალისტური ეკონომიკის ცენტრალიზებულმა (მონოპოლიზებულმა) გარდაქმნებმა, სამწუხაროდ, დასაწყისშივე გადააჭარბა მიზანშეწონილ საზღვრებს და, თუ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, გერმანია, ინგლისი) სოციალურ უზრუნველყოფასა და ჯანდაცვაზე ხარჯები ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის 60-65%-ის მახლობლობაშია, ჩვენში აღნიშნული პარამეტრი, ეფექტიანობის ზრდის მიზნებით, 75-80%-დან 15-20%-მდე დაეცა, მაგრამ ეფექტიანობამ, ბაზრის მაღალი მონოპოლიურობის გამო, სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, ხოლო ადამიანების დიდი ნაწილი მნიშვნელოვანწილად დაუცველი დარჩა - გაუაზრებელი მიბაძვის შედეგად, მიღწეული უპირატესობები დაიკარგა, ხოლო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები მეტად სოციალისტურებიც და მეტად ეფექტიანებიც აღმოჩნდნენ.

ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ხარისხი, ჩვენი გაგებით, გულისხმობს მაღალი ცხოვრების დონის, ცხოვრების ხანგრძლივობისა და სოციალური დაცულობის საუკეთესო პარამეტრების კომპლექსურად უზრუნველყოფას, რაც შეუძლებელია სოციალური ეკონომიკის რაციონალური კონკურენტული გარემოს [1] გარეშე, როცა ადამიანის პროფესიონალიზმსა და ტექნიკის დონის ამაღლებასაც საუკეთესო სტიმულები ეძლევა. არასოციალიზებულ მონოპოლიურ გარემოში კი, ბუნებრივია, რაგინდ საუკეთესო ტრადიციები და განათლებისა და ტექნიკური დონეები იყოს ქვეყანაში, ეს ყოველივე ვერაფრით მოხერხდება.

სოციალური ეკონომიკა, ბუნებრივია, ნიშნავს განათლებისა და მეცნიერების სისტემის პრიორიტეტულად განვითარებას ქვეყანაში, რაც, საბოლოო ჯამში, პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ეფექტიანობასა და, შესაბამისად, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან. ზოგი აღნიშნულსაც საწინააღმდეგოდ აღიქვამს და დღემდე თვლის, რომ სოციალიზაცია მხოლოდ ხარჯტევადობის ზრდასა და ეფექტიანობის დაცემას უკავშირდება. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპებზე, "გონიერი რეფორმატორების" მხრიდან ამ საწინააღმდეგო გაგების გამო, მრავალ მეცნიერს, კვლევით ინსტიტუტებსა და საერთოდ საგანმანათლებლო სისტემას რთულად გამოსწორებადი მემკვიდრეობა დარჩა. საბედნიეროდ, სადღეისოდ, ჩვენს მიერ დასმულ საკითხებთან ერთად და დასავლეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, სამთავრობო დონეზე განიხილება და გადაწყვეტის სტადიაზეა, რომ საგანმანათლებლო ცენტრებს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსება სჭირდება [2].

მითითებული წყაროები

1. რ. ლორთქიფანიძე, რაციონალური კონკურენციის თეორია მართვის ზღვრული ეფექტიანობისათვის. - თბილისი, ISBN 978-9941-0-6966-6, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრული რესურსები, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი", 2014.

2. უნივერსიტეტს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება სჭირდება! – გაზეთი "თბილისის უნივერსიტეტი", 2014, 30 სექტემბერი, №11, გვ. 2.

SOCIAL ECONOMY – BASE OF LIFE'S QUALITY

REVAZ LORDKIPANIDZE
TSIALA GIORGADZE

In article authors expressed particular concern about the proliferation of monopolies and they worked out priority issues for efficiency of social economy on the current stage of development of Georgia.